გიორგი ხოჯევანიშვილმა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა

29 აგვისტო 2018

შიდა ქართლის რწმუნებულმა-გუბერნატორმა პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა ქარელის მუნიციპალიტეტში, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი, ზაზა გულიაშვილი და მერიის სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განხილულ თემებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ როგორც სოციალურ, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ასევე, იმსჯელეს ქარელის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაზე და პრიორიტეტულ საკითხებზე, მათ შორის სოფელ რუისში, მოსახლეობასთან შეხვედრისას გაჟღერებულ საჭიროებების მოგვარებაზე. გუბერნატორის თქმით, ერთობლივი მუშაობა და მსგავსი სახის შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების გამოკვეთას და მოგვარების გზების მოძიებას.